

შპს პეტრა

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2022

**წლის 31
დეკემბერს**

სარჩევი:

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	3
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება-----	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება -----	5
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები -----	6-17

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს პეტრა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)	შენიშვნა	12/31/2022	12/31/2021	12/31/2020
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3	3890	2,036	2,722
		3890	2,036	2,722
მოკლევადიანი აქტივები				
ფულადი სახსრები	4	364952	904,111	414,181
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5	58	169	69,577
მარაგები	6	254555	892,859	1,899,051
		619565	1,797,139	2,382,809
მთლიანი აქტივები		619565	1,797,139	2,382,809
მთლიანი კაპიტალი				
პარტნიორთა კაპიტალი		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი		487849	1,750,453	1,964.551
		487849	1,750,453	1,964.551
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	7	-	-	-
			0	0
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	55	31,244	-
გადასახდელი ხელფასი		-	-	-
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	9	-	-	100,697
გადასახდელი დივიდენდი		-	-	-
გადასახდელი პროცენტი	10	-	-	251,438
საგადასახადო ვალდებულებები		238442	17,476	68,845
		238497	48,721	420,979
მთლიანი ვალდებულებები		238497	48,721	420,979
მოკლევადიანი კაპიტალი & ვალდებულებები		728832	1,799,174	2,385,531

დირექტორი:



მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2022 წლის დასრულებული წლისთვის
(ლარში)

	შენიშვნა	12/31/2022	12/31/2021
ამონაგები	9	1494269	2,025,830
თვითღირებულება		(644132)	(1,006,192)
საერთო მოგება		850137	1,019,637
სხვა შემოსავლები	10	-	4,430
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	11	(211806)	(24,838)
მოთხოვნის გაუფასურება		-	-
სხვა ხარჯები	12	-	-
საოპერაციო მოგება		638331	999,229
ფინანსური შემოსავალი		0	0
ფინანსური ხარჯი	13	0	(3,327)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		0	(3,327)
მოგება დაბეგვრამდე			995,902
მოგების გადასახადი		(285139)	0
პერიოდის მოგება		353192	995,902

დირექტორი:



შპს პეტრა

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)	პარტნიორთა კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი	მთლიანი კაპიტალი
2020 წლის 31 დეკემბერი	-	1,964,551	1,964,551
მოგება წლის ბოლოს	-	995,902	995,902
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	995,902	995,902
გაცემული დივიდენდი	-	1,210,000	1,210,000
კაპიტალის გატანა	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	-	1,750,453	1,750,453
მოგება წლის ბოლოს	-	1750453	1750453
სხვა სრული შემოსავალი	-	353192	353192
პერიოდის სრული შემოსავალი	-	353192	353192
გაცემული დივიდენდი	-	1615796	1615796
კაპიტალის გატანა	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	-	487849	487849

დირექტორი:



შპს პეტრას 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს პეტრა (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2017 წლის 01 აგვისტოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 405221512. კომპანიის იურიდიული საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ნუცუბიდის ქ., N127, კომერციული ფართი N1.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის წილის მფლობელებია:

1. გივი ვარდიაშვილი, 01008002331 – 50%,
 2. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს უნისტ ჯორჯია, 205239437 – 50%,
- კომპანიის დირექტორია - გივი ვარდიაშვილი, 01008002331.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეალიზაცია.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა მომზადების

საფუძველები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, საწარმო აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს მოთხოვნებს;

მსს ფასს სტანდარტების პირველადი გამოყენება კომპანია

ნათლად და უპირობოდ აცხადებს, რომ:

- დაფუძნებიდან აღრიცხვას აწარმოებს მსს ფასს-ის შესაბამისად.

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება, რაც ასევე გამოყენებულ იქნება მსს ფასს-ის შემდგომი პერიოდების ფინანსური ანგარიშგების პაკეტის მომზადებისას შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენით.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2021 წლის 31 დეკემბერს და 2022 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები:

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ტერმინების განმარტებები:

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას.

ფინანსური აქტივი ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი სახეობაა.

კომპანია ფინანსური აქტივების სახით ფლობს, მსს ფასს 11 განყოფილების „ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტების“ თანახმად, შემდეგ **ძირითად** ფინანსურ ინსტრუმენტებს:

ა) რეზიდენტი ბანკების საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს;

ბ) 3 თვემდე მოთხოვნამდე და 12 თვემდე ფიქსირებულვადიანი დეპოზიტების საბანკო ანგარიშებს რეზიდენტ ბანკებში.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფების მიხედვით.

კომპანია იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

თავდაპირველად ფინანსური აქტივები ფასდება თვითღირებულებით. ფინანსური აქტივების თვითღირებულება არის ოპერაციის/გარიგების ფასი გარიგების დანახარჯების ჩათვლით.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც, აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს გასდის ვადა.

დებიტორული დავალიანების გაუფასურება

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ცალსახად არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება არსებული ფინანსური აქტივების გაუფასურებისა. იმ შემთხვევაში, თუ მომავალ პერიოდში არსებითად გაიზრდება დებიტორული დავალიანების თანხა და ადგილი ექნება გაუფასურების გამომწვევ მიზეზებს, როგორიცაა: ხელშეკრულების პირობების დარღვევა, მომავალი ფულადი ნაკადების სიდიდის შემცირება, ემიტენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სიმძნელები, თუ ცხადი გახდება, რომ დებიტორთან დაკავშირებით დაიწყება გაკოტრების, ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესი, - საწარმო დაუყოვნებლივ შექმნის საექვო და უიმედო მოთხოვნების რეზერვებს (ანარიცხებს), და აღიარებს გაუფასურების ზარალს შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები, აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით.

ვალდებულებების პირვანდელი ღირებულება არის მიღებული არაფულადი აქტივების რეალური ღირებულება ვალდებულების წარმოქმნის მომენტისათვის, რომლის სანაცვლო ფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა;

ან, მიღებული ფულადი სახსრების ოდენობა, რომლის სანაცვლო არაფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა;

ან, ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად, მოგების გადასახადისათვის), იმ ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, რომლის საწარმოდან გასვლა მოსალოდნელია ვალდებულების დასაფარავად საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მაშინ, როცა ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. საკურსო სხვაობა ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები. მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება **წრფივი მეთოდით**, სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით;
ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
შენობა ნაგებობები	20-50
მანქანა-დანადგარები	5-12
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	7-15
სატრანსპორტო საშუალებები	3-7
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	30-50
ელექტრო მოწყობილობები	5-15

აქტივის გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივებისა გატესტვა გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულა. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება აქტივის საბალანსო ღირებულება, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში

სავაჭრო ვალდებულება

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად

ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაბეგვრა

კომპანიის გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები ტარდება, როგორც საგადასახადო აქტივები.

ამონაგების აღიარება

კომპანიის მიერ მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, მომსახურების დასრულების შემდგომ, როდესაც მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში და ამონაგების ოდენობის შეფასება საიმედოდ არის შესაძლებელია. თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის

ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

- **ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები** - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.
- **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების

შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

შენიშვნა 3

ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	ოფისის აღჭურვილობა	სულ
01 იანვარი 2021	-	2722	2722
შემოსვლა	-	-	-
გასვლა	-	-	-
ცვეთა	-	686	686
31 დეკემბერი 2021	-	2036	2036
შემოსვლა	-	-	-
გასვლა	-	-	-
ცვეთა	-	632	632
31 დეკემბერი 2022	-	1404	1404

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

შენიშვნა 3

ფულადი სახსრები	2022	2021
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში		-
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	364952	904110.83
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში		-
სულ	364952	904110.83

შენიშვნა 5

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	2022	2021
მოთხოვნების საწარმოს პერსონალის მიმართ	58	169,13
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	-	-
სხვა მიმდინარე აქტივები	-	-
სულ	58	169,13

შენიშვნა 6

მარაგები	2022	2021
მზა პროდუქცია	248726	892858,55
სულ	248726	892858,55

შენიშვნა 7

სასესხო ვალდებულებები	2022	2021
მოკლევადიანი სესხები	-	-
გრძელვადიანი სესხები	-	-
გადასახდელი პროცენტები	-	-
სულ		-

შენიშვნა 8

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	2022	2021
მოწ.და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	-	84,78
მიღებული ავანსები	-	31120
სოციალური გადასახადები	2486	39,63
სულ	2486	31244,41

შენიშვნა 9

ამონაგები

კომპანიის ამონაგები შედგება ძირითადი საქმიანობის ფარგლებში შესრულებული სამუშაოებით მიღებული შემოსავლისგან.

შენიშვნა 10

სახვა შემოსავლები	2022	2021
არასაოპერაციო მოგება	-	0,24
კონვერტაციის შემოსავალი	-	4430,20
სულ	-	4430,44

შენიშვნა 11

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	2022	2021
ცვეთა და ამორტიზაცია	632	685,93
რეკლამის ხარჯები	31,98	747,47
მიწოდების სხვა ხარჯები	364,50	313,50
შრომის ანაზღაურება	194157	20831,63
სოციალური დანარიცხები	3807,14	416,63
კომუნიკაციის ხარჯები	171,86	908,60
კომუნალური ხარჯები	111,70	99,66
სხვა საგადასახადო ხარჯი	-	-
საბანკო მომსახურება	1568,14	834,97
სულ	200844,32	24838,39

შენიშვნა 12

სახვა ხარჯები	2022	2021
არასაოპერაციო ზარალი	-	-
კონვერტაციის ხარჯი	-	-
დამრგვალების ხარჯი	-	-
ჯარიმები	-	-
სულ	-	-

შენიშვნა 13

ფინანსური ხარჯი	2022	2021
საპროცენტო ხარჯი	-	3327,12
სულ		3327,12

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2022 წელს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებს ადგილი არ ქონია.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია 2024 წლის 23 იანვარს.

დირექტორი:

გ. გ. ჩიგო